თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

განკარგულება:გ-27.27211194

თარიღი:29/04/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №29**

**29 აპრილი 2021წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, სამხრეთით მდებარე 1316 კვ.მ (ს/კ 53.19.31.406) სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების**

**შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თელავში მდებარე 1316კვ.მ. (ს/კ 53.19.31.406) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქის სამხრეთ ნაწილში.

თელავის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ,, ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმისა და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ . პროექტის თანახმად, ზემო აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მწვანე ზოლში (მრავალწლიანი ნარგავები). შესაბამისად, მიწის ნაკვეთის გასხვისება არ არის მიზანშეწონილი. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**1.** საპრივატიზაციო ნუსხაში არ იქნას შეტანილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, სამხრეთით მდებარე 1316 კვ.მ ( ს/კ 53.19.31.406) სასოფლო-

სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

**2**. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

*დანართი*

## უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | საკადასტრო კოდი | ფართობი | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა | გადახდის პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქ. თელავი, სამხრეთით მდებარე | 53.19.31.406 | 1316 კვ.მ | 25 004 | უპირობო | 15 დღე |